საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 17 ივლისი 2015 წ.

ბრძანება №01-08/74

ხელოვნების უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის მსურველთათვის ვაკანტური ადგილებისა და მობილობის საუნივერსიტეტო კომისიის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღ-ლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“-ის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინი-სტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა-გ“ ქვეპუნქტებისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 06 ივლისის № 471 ბრძანების, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-4 მუხლისა და ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 06 ივლისის № 04-01/51 დადგენილების საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სტუდენტთა მობილობის ვაკანტური ადგილები, თანახმად დანართისა.

2. განისაზღვროს 2015 წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ვადები:

- პროცედურული ვადები:

- დოკუმენტაციის მიღება - 21 აგვისტოდან - 02 სექტემბრის ჩათვლით;

- უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება - 04 სექტემბერი;

- ჩასარიცხ პირთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში - 09 სექტემბერი.

3. საშემსრულებლო მიმართულებით 2015 წლის სემოდგომის სემესტრის მობილობის მსურველთათვის შემოქმედებითი ტური ჩატარდეს 2015 წლის 07 სექტემბერს 11. 00 საათზე.

4. დამტკიცდეს ხელოვნების უნივერსიტეტში 2015 წლის შემოდგომის სემესტრისათვის სტუდენტთა მობილობის საუნივერსიტეტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნინო ხარჩილავა - კომისიის თავმჯდომარე, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ქეთევან ვაჩეიშვილი - კომისიის წევრი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მამუკა ჯორბენაძე - კომისიის წევრი, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;

ლალი ჭელიძე - კომისიის წევრი, მუსიკის ფაკულეტეტის დეკანი;

მაია ჭიჭილეიშვილი - კომისიის წევრი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ხათუნა მანაგაძე - კომისიის წევრი, მუსიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნატო ცქვიტინიძე - კომისიის წევრი, სტუდენტთა მომსახურების განყოფილების უფროსი.

6. ფაკულტეტის დეკანებმა სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვისათვის შესაბამისი დასკვნები კომისიაში წარადგინონ არაუგვიანეს 2015 წლის 04 სექტემბრისა.

7. საქმისწარმოების სამსახურმა უზრუნველყოს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება.

8. სტუდენტთა მომსახურების განყოფილებამ უზრუნველყოს ამ ბრძანებისა და მობილობის წესის ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 4).

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ე. მესხია**

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის
17 ივლისი №01-08/ 74 ბრძანების
დანართი 1

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ვაკანტური ადგილები

№	ფაკულტეტი	ადგილების რაოდენობა
	სახვითი, სასცენო და კინოტელე ხელოვნების (ბაკალავრიატი)	
1	არქიტექტურა და დიზაინი (შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა)	5
2	დიზაინი (სამოსის დიზაინი)	5
3	საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო)	5
4	აუდიოვიზუალური ხელოვნება (ტელერეჟისურა)	5
	მუსიკის ფაკულტეტი (ბაკალავრიატი)	
1	სამუსიკო შემსრულებლობა (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, საორკესტრო)	6
	მუსიკის ფაკულტეტი (მაგისტრატურა)	
1	სამუსიკო შემსრულებლობა (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, საორკესტრო)	6
	განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (ბაკალავრიატი)	
1	ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა)	10
2	კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი	10
3	კულტურული ტურიზმი	5
4	მასობრივი კომუნისკაცია-ტელერადიოჟურნალისტიკა	5
	მაგისტრატურა	
1	ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)	5

სწორია: